ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება

დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ამირან ხიმშიაშვილი

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ნინო თურმანიძე

კვების დარგში ექსპერტი: მირანდა გორგილაძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: შოთა მახარაძე

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ა(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	446754209
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა 26 მაისის ქუჩა #1

პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა, ყედირ შერვაშიძის N5
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	www.kedakids.ge
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	MES 9 25 0000541647 , 19.05.2025. ბრძანების ცვლილება (MES 7 25 0000612664 , 3.06.2025)
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	11-12 ივნისი, 2025 წელი

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.					
N	**პროგრამის სახე**[1]	**კურიკულუმ(ებ)ის დასახელება**	**პროგრამის განხორციელების ენა**	**პროგრამის განხორციელების მიდგომა** *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	**თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა**
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის. 2.სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული	ქართული		116 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

ა(ა)იპ ქედის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11-12 ივნისს. დაწესებულებისთვის წინასწარვე იყო ცნობილი დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გამოცხადდა დროულად, ყველა პროცესი წარიმართა გეგმიურად, განსაზღვრული დღის განრიგის შესაბამისად, თანამშრომლობით და კეთილგანწყობილ გარემოში. შეფასების დროს,

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შეფასება ძირითადად არ დაემთხვა მოთხოვნილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტისა და 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება, 4.3. მატერიალური რესურსი, 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონის, 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება -კომპონენტებთან მიმართებაში, რისთვის გარკვეულ ინდიკატორებზე დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა რელევანტური შესაბამისობის გეგმა არსებული შეუსაბამოებების აღმოსაფხვრელად.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ა(ა)იპ ქედის საბავშვო ბაღების გაერთიანებას აქვს ვებ გვერდი kedakids.ge, სადაც ჩაშენებულია ყველა ძირითადი ინფორმაცია მათ დაქვემდებარებაში მყოფი ბაღების შესახებ. საიტზე ასევე განთავსებულია სხვადასხვა მარეგულირებელი წესი, რასაც იყენებს საქმიანობისას დაწესებულება. საიტიდან შესაძლებელია ბავშვის ონლაინ რეგისტრაცი. ნავიგაცია და ინტერფეისი მარტივი და მოსახერხებელია, რაც დაინტერესებულ პირს გაუადვილებს ინფორმაციის მოძიებასა და მიღებას.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (ადრეული განათლების კურიკულუმი „თ ა მ ა შ ი“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის, სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული)		
2. კურიკულუმი	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ **არ შეესაბამება**	☐ **არ შეესაბამება**
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. **დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს მისია, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი-დანართი N1 სახით. მისია შემდეგნაირად ჟღერს: ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების მისიაა ბავშვთა სკოლამდელი განვითარებისთვის ხელშემწყობი მეგობრული გარემოს შექმნა, ბავშვების უნიკალური შესაძლებლობების და საჭიროებების გამოვლენა, ჰარმონიულ და მრავალმხრივ განვითარებაზე ზრუნვა.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან, ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მიზნად ისახავს შექმნას ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-დოკუმენტის სახით. დაწესებულების ხედვაა:

- სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა;
- საბავშვო ბაღებში ხარისხიანი ინკლუზიური განათლება;
- სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლების ისეთი მიდგომების დანერგვა რომელიც იძლევა საშუალებას ბავშვმა თამაშით აღმოაჩინოს და შეიცნოს გარემო;
- სკოლამდელი განათლების სფეროში თანამედროვე მიდგომების გამოყენებით საუკეთესო პრაქტიკის ინიცირება;
- სკოლამდელი განათლების სფეროში ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება;
- აღმზრდელ პედაგოგების პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა;
- ზრუნვა როგორც ბავშვების, ასევე დაწესებულების თანამშრომელთა ფიზიკურ კეთილდღეობაზე;
- მშობლების და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა

დაწესებულების ღირებულებებია:

- თანასწორუფლებიანობა- სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში თანასწორი და სამართლიანი გარემოს შექმნა;
- გუნდურობა - დაწესებულების თანამშრომელთა შეთანხმებული მუშობა;
- გამჭვირვალობა- ორგანიზაციის მუშაობა ღიად, მოლოდინების შესაბამისად და გასაგებად;
- თანამშრომლობა- მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მშობლების და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა;

- ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვა- „ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- უწყვეტი განვითარებისკენ სწრაფვა- უწყვეტი პროფესიული განვითარება.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, არის მარტივი და გასაგები, თუმცა არ ჩანს დროის პერიოდი, თუ რამდენ ხანში აპირებს დაწესებულება ხედვაში გაცხადებულ სასურველი მდგომარეობის მიღწევას.

ღირებულებებში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რომელთა დაცვითაც მუშაობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ხედვა ფორმულირებული იყოს, როგორც დაწესებულების სასურველი მისაღწევი მდგომარეობა დროის კონკრეტულ პერიოდში და მოიცავდეს გაზომვად ნიშნულებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ -ის შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბერის №01-02/38 ბრძანებით - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველ მტკიცებულებად წარმოდგენილია შეხვედრების ოქმი N1 და ოქმი N2 (დანართი N20, დანართი N21), რომელიც ასახავს შემუშავების პროცესს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან, რაც დასტურდება დაბა ქედის N1 საბავშვო ბაღის 2024 წლის 18 დეკემბრის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი N4 -ით და ქედის ბაღა-ბაღების გაერთიანების kedakids.ge-ზე განთავსებული 2024 წლის 5 დეკემბრის ინფორმაციით საჯარო შეხვედრის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავდა მისია, ხედვისა და ღირებულებების გაცნობას.

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, რაც დასტურდება ქედის ბაღა-ბაღების გაერთიანების kedakids.ge-ზე განთავსებული ინფორმაციით და დაბა ქედის N1 საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფაზე განთავსებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N1 - მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი
2. დანართი N2 - ა(ა)ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
3. დანართი N19 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბერის №01-02/38 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. დანართი N20 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
5. დანართი N21 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
6. ვებ-გვერდი kedakids.ge;
7. დანართი N24 - ფოტო - საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფა;

8. შენობის ვიზუალური დათვალიერება;
9. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილებების პროცედურები და სხვ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2029 წლის ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 22 ნოემბრის №01-02/ 64 ბრძანებით, უფლებამოსილი პირის მიერ.

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ხუთწლიანი და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. სტრატეგიული გეგმის ციკლურობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ჩანაწერებით, შემუშავების პროცესის, პერიოდულობის, მონიტორინგისა თუ შეფასების მექანიზმის განსაზღვრით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

- სასურველია, დაწესებულებამ სტრატეგიული დაგეგმარებისას გაითვალისწინოს, რომ მიზანი არის შედარებით ზოგადი ტიპის განაცხადი, რომელიც ასახავს ბაღის გრძელვადიან მისაღწევ შედეგს, იდენტიფიცირებული კონკრეტული გამოწვევის/პრობლემის გადაჭრის მიზნით.

მიზანშეწონილია, რომ მიზანმა მოიცვას ფართო, მაგრამ კარგად განსაზღვრული მიმართულება და შინაარსობრივად მსგავსი მიზნები ერთიან მიზნად ფორმულირდეს, რომელსაც ექნება შესაბამისი, თანმიმდევრული ამოცანები და იქნება მკაფიო და გასაგები (სტრატეგიული მიზანი 3 -ინკლუზიური განათლება - ამოცანა 3.1 ბაღთან წვდომა, 3.1.2 ბაღთან წვდომის ხელშეწყობა).

- ბაღის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყოველდღიური რუტინული აქტივობები, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასა და ბავშვის ფიზიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებასთან (ამოცანა 5.1 -საბავშვო ბაღების კვების ორგანიზება და მისი ქვეამოცანები, ამოცანა 5.2 -სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და მისი ქვეამოცანები) თუ ის არსებით განახლებას ან სიახლეს არ ეფუძნება, სასურველია რომ არ იყოს ასახული მიზნებისა და ამოცანების ნაწილში .
- დაწესებულების მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგიული მიზნები ასევე მოიცავს კვება, სანიტარია-ჰიგიენის მიმართულებას, თუმცა 2024 წლის 20 სექტემბერის №01-02/38 ბრძანებით დამტკიცებულ მისია, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში არ შედიან სანიტარია ან/და ჰიგიენის მიმართულებით თანამშრომლები. სასურველია, რომ სამუშაო ჯგუფში შედიოდეს დაწესებულების პერსონალის ყველა მიმართულებიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენელი, რომელთა კომპეტენციების გაერთიანება უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის მუშაობას.
- სასურველია, სამუშაო ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 ადამიანს, რათა დიდი ჯგუფის მართვა შეიძლება უფრო მეტად ქაოტური და არაპროდუქტიული იყოს. მიზანშეწონილია, შემდგომი სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ამ პრინციპის დაცვით განხორციელდეს.
- სასურველია სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ შეხვედრების შესახებ, სამუშაო ჯგუფის წევრებს წინასწარ აცნობოს და გაუგზავნოს შესაბამისი დღის წესრიგი, რომელიც იქნება შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უფლებამოსილი პირის მიერ 2024 წლის 3 დეკემბრის № 01-02/69 ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის ერთიანი სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ერთწლიანია, ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას და მორგებულია კალენდარულ წელს. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების აქამდე არ ქონია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, ხოლო სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 3 დეკემბერს, არ არის დაფუძნებული დაწესებულების თვითშეფასებას.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.....
.....
რჩევა
.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. გაწერილი აქტივობების შესრულების ნაწილში, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია, როგორც ინდიკატორების გრაფა, ასევე შესრულების მოკლე აღწერის გრაფა, რომელიც აღწერს თითოეულ აქტივობას რაოდენობრივ ან/და ხარისხობრივ ჭრილში. თითოეული აქტივობებზე გაწერილია ვადები, რომელიც რეალისტურობის საფუძველს იძლევა. თითოეულ აქტივობას ყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. აქტივობათა განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა რეალისტურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

- სასურველია, რომ დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს, რომ აქტივობის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს მყისიერი შედეგი, შესაბამისად, აქტივობების განხორციელებისას რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი მაჩვენებლები უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ვადის განსაზღვრის დროს, მხედველობაში მიიღოს სხვადასხვა რისკ ფაქტორების დადგომის ალბათობა და აიღოს საშუალოზე მეტი დრო, დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად;
- სასურველია, დაწესებულებამ აქტივობათა განხორციელების საჭირო რესურსები უფრო მკაფიოდ განსაზღვროს, რომელიც უფრო მეტად კონკრეტული და რეალისტური იქნება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი". ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. გამომდინარე იქედან, რომ სტრატეგიული განვითარების 2025-2029 წლის გეგმა დამტკიცდა 2024 წლის 22 ნოემბერს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ან/და შეფასება არ განხორციელებულა, ვინაიდან აღნიშნული პერიოდი ჯერ არ დამდგარა. ამავე წესის (მუხლი 13, მე-4 პუნქტი) მიხედვით, დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. ამავე წესში გაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმა დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2024 წლის 3 დეკემბრის №01-02/69 ბრძანებით, თუმცა დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება სამოქმედო გეგმის კვარტალური მონიტორინგის შესახებ, ხოლო წარმოდგენილ თვითშეფასებაში აღნიშნავს, რომ აღნიშნულს ახორციელებს ექვს თვეში ერთხელ და მონიტორინგის პერიოდი არ დამდგარა, რაც წინააღმდეგობაში მოდის დამტკიცებულ წესთან.

ადგილზე ვიზიტის (11-12 ივნისი) და ინტერვიუს დროს, დაწესებულებას არ გააჩნდა არანაირი მტკიცებულება მონიტორინგის განხორციელების ან/და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ. ასევე, ბაღს არ წარმოუდგენია არანაირი მტკიცებულება სამოქმედო გეგმაში განხორციელებული ცვლილების შესახებ.

ზემოთაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და მტკიცებულებაზე დაყრდნობით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....

.....

რეკომენდაცია

- უზრუნველყოს დაწესებულებამ ა(ა) იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ -ს შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი მტკიცებულებების უზრუნველყოფა. ასევე ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ და თვითშეფასებაში ასახული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პერიოდი მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს სამ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ 2025-2029 სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცდა 2024 წლის 22 ნოემბერს, ხოლო სამოქმედო გეგმა 2024 წლის 3 დეკემბრის №01-02/69 ბრძანებით, შესაბამისად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პერიოდი ჯერ არ დასრულებულა. 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37 ბრძანებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის თანახმად, დაწესებულება საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

შესრულების შედეგებს აფორმებს ნარატიული სახით და განათავსებს გაერთიანების ვებ გვერდსა და ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N2 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 17 სექტემბრის №01-02/37ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. დანართი N19 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 20 სექტემბერის №01-02/38 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
3. დანართი N20 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
4. დანართი N21 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
5. დანართი N25 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N3;
6. დანართი N26 - სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N4;
7. დანართი N3 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2024 წლის 22 ნოემბრის №01-02/64 ბრძანება ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025-2029 წლის სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;

8. დანართი N3 - გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის №01-02/69 ბრძანება ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
9. დანართი N27 - 2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
10. შენობის ვიზუალური დათვალიერება და ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I I, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია)

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I I (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა)

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის განაცხადის თანახმად, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმებით, რომელიც ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის **2024** წლის 27 ნოემბერის **№01-02/**65 ბრძანებითაა დამტკიცებული.

დაწესებულება პროგრამის განსახორციელებლად ხელმძღვანელობს:

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I I, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია)

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I I (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა)

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის **2024** წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანებით დამტკიცდა „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“–ს თანახმად, დირექტორის **2024** წლის 31 ოქტომბრის №01-02/55

ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. კურიკულუმის შერჩევის პროცესში დაწესებულებას ჩართული ყავდა სხვადასხვა საბავშვო ბაღის წარმომადგენლები, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის ოქმებით და ფოტო-მასალით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ შესაძლოა განიხილოს კურიკულუმებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სტრუქტურისა და ფორმულირების დახვეწა, რაც ხელს შეუწყობს პროცესის უფრო მეტ გამჭვირვალობასა. კერძოდ, სასურველია:

–კურიკულუმების სახელწოდებები სამუშაო შეხვედრის ოქმებში, ბრძანებასა და მის დანართებში სრულიად იდენტურად იყოს მითითებული (მათ შორის ნაწილების, ვერსიების, ასაკობრივი ჯგუფების ან სხვა სპეციფიკაციების ჩათვლით);

–სამუშაო შეხვედრის ოქმებში რეკომენდებულია სრული სიზუსტით აისახოს ის კურიკულუმები, რომელთა შესახებაც მოხდა შეთანხმება. კერძოდ, როდესაც სამუშაო ჯგუფი განიხილავს კურიკულუმების პროექტებს და მიაღწევს შეჯერებას, ოქმში უნდა ჩაიწეროს კურიკულუმების სრული სახელწოდებები, მათ შორის ნაწილები, ვერსიები და დანიშნულება (მაგ., ასაკობრივი ჯგუფი, საპილოტე ვერსია და სხვ.), რათა შემდგომ ეტაპებზე თავიდან აიცილონ შესაძლო გაურკვევლობები და დოკუმენტაცია თანხვედრაში იყოს ბრძანებაში მითითებულ სახელწოდებებთან და დანართებთან.

–ბრძანებაში სასურველია მკაფიოდ აისახოს, რომელ ასაკობრივ ჯგუფებს ეხება თითოეული შერჩეული კურიკულუმი. ჩამოთვლილი იყოს კურიკულუმების სრული და დაზუსტებული სახელწოდებები (მაგ., ნაწილი I და II, პრაქტიკული ან მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საპილოტე ვერსია და ა.შ.).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების, ბავშვის განვითარების სტადანდარტების მიღწევას, რადგან მათი მიზნები დაკავშირებულია ბავშვის განვითარების სტანდარტის სფეროებთან და თემატურ მიმართულებებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმები ნათლად ასახავს, რომ საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ყოველკვირეულ გეგმებში.

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმები: **ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;**

ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I I, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია);

სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I I (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა);

კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას,

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმები: „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ და „სასკოლო მზაობის პროგრამის „თ ა მ ა შ ი“, რომლითაც ხელმძღვანელობს.

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებებს, რადგან გვთავაზობს პროექტის თემატურ დაგეგმვას, ინდივიდუალიზაციის აუცილებლობას უსვამს ხაზს, რაც ხელს უწყობს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც შეესაბამება ბავშვების ასაკს და განვითარების დონეს.

საგანმანათლებლო პროცესი ინტეგრირებულია ცენტრებზე დაფუძნებულ საქმიანობეზე, რომლებიც მიზნად ისახავს ბავშვების ასაკისა და განვითარების შესაბამისად მრავალმხრივი უნარების გაძლიერებას. გამოიყენება შემდეგი ტიპის ცენტრები და მათთვის დამახასიათებელი აქტივობები:

1. **დრამატული და წარმოსახვითი თამაშების ცენტრი:** სახლობანა, ექიმობანა, პოლიციელობანა, ბანკობანა, მზარეულობანა, სადაც ბავშვები ქმნიან სცენებს, როლებში ინაცვლებენ და ცომისა თუ ტალახის გამოყენებით აცხობენ წარმოსახვით ნამცხვრებს.

2. **შემოქმედებითი ცენტრი:** ხატვა, ძერწვა, მუსიკალური ინიციაციები, რაც ხელს უწყობს თვითგამოხატვასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

3. **კვლევითი და ექსპერიმენტული თამაშების ცენტრი:** მცენარეების ზრდის პროცესის დაკვირვება, სხვადასხვა მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება (მაგ. სოდისა და ძმრის რეაქცია) – ხელს უწყობს კვლევით და კრიტიკულ აზროვნებას.

4. **სენსორული ცენტრი:** ქვეშით, წყლით, ფქვილით, ფერადი ბურთებით თამაში – რაც ეხმარება ბავშვებს სენსორული გამოცდილების მიღებაში.

5. **სამაგიდო თამაშების ცენტრი:** ლოტო, ფაზლი, დომინო – რომელიც ავითარებს ლოგიკურ, ყურადღებისა და ვიზუალურ აღქმის უნარებს.

6. **კონსტრუქციული თამაშების ცენტრი:** (შეიძლება დაამატო კონკრეტული მაგალითებიც, როგორიცაა კონსტრუქტორებით შენება, ბლოკებით კოშკების აგება და ა.შ.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების მიერ შერჩეული კურიკულუმები: „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ და „ სასკოლო მზაობის პროგრამის „თ ა მ ა შ ი“, გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის N01-02/52 ბრძანებით „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება განსაზღვრავს, რომ:

1. დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმებს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს;
2. დაინტერესებულ მხარედ მიიჩნევა:
   ა) მშობლები;
   ბ) დაწესებულების პერსონალი;
   გ) თემი/მუნიციპალიტეტი;
   დ) სხვა;
3. კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

   ზემოაღნიშნული წესის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე, შერჩეული კურიკულუმი გაზიარებულია დაინტერესებულ მხარესთან – კერძოდ, დაწესებულების პერსონალთან.

   საკომუნიკაციო არხები, რომლებსაც გაერთიანება იყენებს კურიკულუმის გასაზიარებლად, გადმოცემულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 4-ში – „საკომუნიკაციო არხების შერჩევა“, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეპუნქტებს:

   ა) პირისპირ შეხვედრები;
   ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; zoom, teams
   გ) მატერიალური კორესპონდენცია;
   დ) საინფორმაციო დაფები;
   ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
   ვ) სატელეფონო ზარები;

ზ) ელექტრონული ფოსტა; https://mail.google.com/mail/u/0/#inbox

თ) გაერთიანების ვებ-გვერდი; https://kedakids.ge/

კურიკულუმის გაზიარება განხორციელდა პირდაპირი შეხვედრის გზით. მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა დანართი N40 – კურიკულუმის გაზიარების ამსახველი ფოტო-მასალა.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ შეიძლება განიხილოს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ გადახედვა ისე, რომ ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში, როდესაც კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან მხოლოდ პირდაპირი შეხვედრის გზით ხორციელდება, საკომუნიკაციო არხების სია გამარტივდეს და გამოყენებულ იქნას მხოლოდ მათთვის რეალურად გამოყენებადი საშუალებები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N4 – ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება №01-02/65

2024 წლის 27 ნოემბერი, დაბა ქედა.

ა(ა)იპ „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებ“–ის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ

დანართი N4 – “ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის”–

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბერის №01-02/65 ბრძანება

დანართი N4 – "ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I I, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის"–
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბერის №01-02/65 ბრძანება
დანართი N4 – სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია) –
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბერის №01-02/65 ბრძანება
დანართი N4 – სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა) –
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბერის №01-02/65 ბრძანება
დანართი N5– ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება №01-02/52
2024 წლის 28 ოქტომბრი, დაბა ქედა
„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი"–ს დამტკიცება
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებ–ის წესდების მე–6 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად
დანართი N5– „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი"–
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანება
დანართი N28 – კურიკულუმის შერჩევისა და გაზიარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი
ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-02/55 ბრძანება.
დანართი N29 – კურიკულუმის შერჩევისა და გაზიარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ამსახველი ოქმი N 1
დანართი N30 – კურიკულუმის შერჩევისა და გაზიარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ამსახველი ოქმი N 2

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ თანახმად საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს.**

წესის მე–3 **მუხლში** განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პროცედურები, რომლის თანახმად დაწესებულებაში უნდა ხორციელდებოდეს გრძელვადიანი (წლიური) და მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების შემუშავება. შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ითვალისწინებს ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომლითაც შესაძლებელია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევა, როგორიცაა ფიზიკური და სენსორული განვითარება; სოციალურ-ემოციური განვითარება; კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება; შემეცნებითი განვითარება; დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება.

ამავდროულად აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს, რომ დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებული უნდა იყოს გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს:

1. ქედის N1 საბავშვო ბაღის დღის განრიგი;
2. მოკლევადიანი გეგმის ფორმა, რომელიც არ არის გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის საერთო გრძელვადიანი სამუშაო გეგმის ფორმა. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის **მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა** მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).

2. გაერთიანებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. (დანართი1)

1. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი. (დანართი 2)
2. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები;

ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები;

გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი;

დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა;

ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანებას არ აქვს დამტკიცებული გრძელვადიანი გეგმა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები: **ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი II, პრაქტიკული**

სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია); სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა); განსაზღვრავს გრძელვადიან და მოკლევადიან დაგეგმვას, რაც დაწესებულების წესში დაცულია. ამასთან განსაზღვრულია გრძელვადიანი გეგმებისთვის ერთწლიანი პერიოდი, ხოლო მოკლევადიანისთვის ყოველკვირეული.

ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....

.....

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უფლებამოსილი პირის მიერ დაამტკიცოს მოკლევადიანი გეგმის ფორმა. დაწესებულებამ უფლებამოსილი პირის ბრძანებით დაამტკიცოს გრძელვადიანი (წლიური) სამუშაო გეგმა.

რჩევა

გრძელვადიანი გეგმა უნდა მოიცავდეს როგორც ბაღის შიდა სივრცეების, ასევე გარე გარემოსა და თემის რესურსების მიზნობრივ გამოყენებას, ბავშვის ინტერესებისა და განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ქედის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს გააჩნდეს ინდივიდუალურად შემუშავებული გრძელვადიანი გეგმა, რომელიც პასუხობს კონკრეტული ბაღის საჭიროებებს და ადგილობრივი თემის საგანმანათლებლო, ბუნებრივი თუ კულტურული რესურსების ინტეგრაციის შესაძლებლობებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული თემის რესურსები განსხვავდება, რაც არ იძლევა ერთიანი, უნივერსალური გეგმით მუშაობის შესაძლებლობას სხვადასხვა ბარებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ერთ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის **2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით** დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ თანახმად

გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი. ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანებას არ აქვს აღნიშული სამუშაო ჯგუფი შექმნილი.

მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავება ხდება საგანამანთლებლო პერონალის არასაკონტაქტო საათის დროს და მასში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია კვირის განმავლობაში საჭიროებიდან გამომდინარე. პროცესში ჩართულია ორივე ცვლის აღმზრდელი და საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა საგანმანათლებლო პერსონალი. პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახორციელებს საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.
ვიზიტის დროს ინტერვიუში მკაფიოდ ისაუბრეს როგორც აღმზრდელებმა, ასევე ხელმძღვანელმაც არასაკონტაქტო საათის მსვლელობის პროცესზე.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

.....
.....

რეკომენდაცია

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ თანახმად გრძელვადიანი გეგმა უნდა შეიქმნას გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს შერჩევითად, საგანმანათლებლო

პერსონალის ნაწილით. ამასთან, შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის გაზიარება უნდა მოხდეს დანარჩენ საგანმანათლებლო პერსონალთან გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებამდე. დაწესებულებამ უზრუნველყოს საკუთარი წესის შესაბამისად პროცესის განხორციელება.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ერთ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით. წესისს მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა მოიცავს:

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. გაერთიანებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (წლიური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.

3. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

წესში გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები, პორტფოლიოს წარმოების წარმოება, რომელიც მოიცავს დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალის მიერ შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ა) ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო;

ბ) აღმზრდელის პორტფოლიო;

გ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო.

აღმზრდელის და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები.

რაც შეეხება ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოებს ისინი მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;

წესი ასევე მოიცავს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა, რომელიც გულისხმობს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას ინდივიდუალურად.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი ზემოხსენებული დოკუმენტაციის წარმოება უზრუველყოფს ასახოს ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ თანახმად საგანმანათლებლო პროცესში იქმნება დღის გარიგი, აღმზრდელის თუ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორთფოლიო და ბავშვის ინდივიდუალური პორთფოლიოები. საგანმანათლებლო პერსონალი მუდმივად აკვირდება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესს, მას ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში მრავალფეროვანი გამოცდილებების, თამაშებისა და აქტივობების შეთავაზებით. ზემოხსენებული ასახულია პერსონალის დოკუმენტაციაში კერძოდ: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებსა თუ რეფლექსურ ჩანაწერებში, რაც შემდეგ უკვე ჩანს გეგმებში. რაც შეეხება ინდივიდუალიზაციას, ის ვლინდება მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით თუ გაწერით, ასევე დაწესებულების მიერ, ინდივიდუალური გეგმის

შემუშავების გზით. ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების მიზნების ინდივიდუალური მიღწევის საშუალებები, ხოლო ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები. ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებში, რეფლექსურ ჩანაწერებში.

ქედის N1 ბაგა–ბაღს მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს დღის განრიგი. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით გამოთხოვილ სხვა დოკუმენტებთან ერთად აღმზრდელის და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო და ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიო.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს როგორც ჯგუფის საჭიროებებს, ისე ინტერესებს, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვისა და ბავშვთა ჯგუფის ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების ამოცნობით. ეს ინფორმაცია აისახება ჯგუფზე დაკვირვების ფორმის შინაარსში. საგანმანათლებლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ შესაძლებელი ხდება ყურადღების გამახვილება ჯგუფის საჭიროებებზე. დაწესებულებაში დაგეგმვა განხორციელდება ბავშვისა და ჯგუფის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რაც ეფუძნება ბავშვზე თანმიმდევრულ დაკვირვებას. ცვლილებების განხორციელებაც სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით იგეგმება.

ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პერსონალის და ბავშვთა პორთფოლიოებში წარმოება მიზნად ისახავს როგორც ბავშვის, ისე ბავშვთა ჯგუფის ინტერესისა და საჭიროების გამოვლენას. პროცესის მიმდინარეობა იგეგმება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დაკვირვების საფუძველზე და აისახება ჯგუფზე თუ ინდივიდუალური დაკვირვების ფორმების შინაარსში. საგანმანათლებლო პროცესი დაგეგმილია ჯგუფის საჭიროებებზე ფოკუსირებით, რაც პროცესის მიზანმიმართულ ორგანიზებას გულისხმობს. დაგეგმვა და მასში ცვლილებების შეტანა გულისხმობს ბავშვსა და ჯგუფზე თანმიმდევრული დაკვირვების საფუძველზე, ინდივიდუალური ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას . დოკუმენტაცია ასევე მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, თამაშზე ორიენტირებული სწავლება, სხვადასხვა ტიპის თამაშებზე დაფუძნებული აქტივობები როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები და კურიკულუმის მიზნების გათვალისწინება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესის“ თანახმად ყოველკვირეული გეგმის ფორმებით ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში.

წესის თანახმად დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ მახასიათებლებს/ასპექტებს/კომპონენტებს:

ა) პროცესის დაგეგმვა;

ბ) განხორციელებული აქტივობები;

გ) რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობა;

დ) ბავშვებზე დაკვირვების პრაქტიკა და დოკუმენტირება;

ვ) გამოყენებული მიდგომები (ინდივიდუალიზაცია, პოზიტიური დისციპლინა, მოდელირება);

ზ) აღმზრდელის სტრატეგიები.

ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, ტრანზიციების წარმართვაც თამაშს და თამაშის ელემენტებს დაეფუძვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში, როგორიცაა დრამატული, კონსტრუქციული, მოძრავი, სენსორული, სამაგიდო და სხვა. თამაშებში მონაწილეობა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც ჯგუფის შიდა სივრცეში, ისე გარე გარემოში. აღნიშნული ინფორმაცია აისახება ასევე ყოველკვირეულ გეგმებში, სადაც დეტალურად არის გაწერილი აღმზრდელის მიერ დაგეგმილი მრავალფეროვანი აქტივობები და თამაშების ტიპები. ორგანიზებულია, დაწესებულების, როგორც შიდა ისე გარე სივრცეები და შესაძლებლობას იძლება ბავშვი ჩაერთის სხვადასხვა ტიპის თამაშში.

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი ვიზიტის დროს ინტერვიუზე დეტალურად აღწერდა ზემოხსენებული საკითხის შესახებ ცოდნას და მზაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით.

წესით განსაზღვრული მექანიზმი მოიცავს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევის, შეძენის, შეგროვებისა და დამზადების პროცესებს. რესურსების შეძენა ხდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით. ამავდროულად დამატებით გამოიყენება თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი, მშობლებისა და აღმზრდელების ჩართულობა ბუნებრივი და მეორადი რესურსების მოძიებაში, აგრეთვე ხორციელდება

რესურსების დამზადებაც. მექანიზმი ასევე ითვალისწინებს მრავალფეროვანი, მრავალგვარი და ჰოლისტური განვითარების შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფას. აღნიშნული მექანიზმი ქმნის საფუძველს რესურსების უწყვეტი, სისტემური მიწოდებისთვის, რაც შეეხება რესურსების შერჩევას, შევსება და განახლება ხორციელდება როგორც ცენტრალიზებული შესყიდვების, ისე ალტერნატიული გზების მეშვეობით, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული საგანმანათლებლო პერსონალი და მშობლები.

დაწესებულება აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია დანართი N38– საგანმანათლებლო რესურსის მინიმალური ჩამონათვალი. რესურსი შესაბამისია შერჩეულ კურიკულუმებთან, რადგან მოიცავს ყველა სფეროსა და თემატურ მიმართულებას მრავალგვარობის და მრავალფეროვნების პრინციპის გათვალისწინებით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნის, რომ დაწესებულებამ ვიზიტზე წარმოადგინა ინვენტარიზაციის დოკუმენტი, რომლის შინაარსი საკმაოდ სადაოა და იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა და შეუსაბამობაშია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან. კერძოდ დაწესებულებამ პროგრამის მიხედვით მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობად 116 განსაზღვრა, ინვენტარიზაციის

დოკუმენტი კი წინააღმდეგიბაშია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობასთან. დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული კურიკულუმის საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

.....

.....

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრის აუცილებლობა. დაწესებულებამ უნდა განაახლოს საგანმანათლებლო რესურსების ინვენტარიზაციის დოკუმენტი ისე, რომ იყოს უზრუნველყოფილი მისი შინაარსობრივი შესაბამისობა ბავშვთა რაოდენობასთან და შესაძლებელი იყოს კონკრეტული რესურსების იდენტიფიცირება თემატური და რაოდენობრივი ჭრილში.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 3 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომლის მიხედვით დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და მოწყობა ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება:

ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე;

დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.

ადგილზე ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობის პროცესში გათვალისწინებული იყო უნივერსალური დიზაინის პრინციპები და კურიკულუმის მოთხოვნები. დანდალოს საბავშვო ბაღის ჯგუფური ოთახის გარემო იყო მოქნილი, სივრცეები იძლეოდა გადაკეთების საშუალებას. კურიკულუმის თანახმად გარემო იყო თემატურ ცენტრებად მოწყობილი: მეცნიერების, ფიზიკური აქტივობების, როლური თამაშების, წიგნიერების და სხვა. რაც ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლინდა ჯგუფური ოთახების დათვალიერებისას.

დაწესებულების გარე სივრცეც მოწყობილია კურიკულუმის შესაბამისად. ეზო განხილულია, როგორც კურიკულუმის განხორციელების ადგილი და ის ზრუნავს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე. ეზოში მოწყობილი იყო დრამატული და წარმოსახვითი თამაშების სივრცე, შემოქმედებითი, სენსორული, სამაგიდო და კონსტრუქციული თამაშების ცენტრები და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები – **ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია); სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა);** – განსაზღვრავენ საგანმანათლებლო რესურსების მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური ორგანიზების სპეციფიკას, რაც მოიცავს ასაკზე, განვითარების დონესა და ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული რესურსების გამოყენებას როგორც შიდა, ისე გარე გარემოში. კურიკულუმები ხაზს უსვამენ რესურსის ხელმისაწვდომობას, ფუნქციურობას, ბავშვზე ორიენტირებულობას და მათი გამოყენების ინტეგრირებას სხვადასხვა სახის თამაშსა და აქტივობაში.

დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის ჯგუფურ ოთახში საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებულია ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებებისა და შერჩეული კურიკულუმების მიხედვით. ოთახში მოწყობილია 6 საგანმანათლებლო ცენტრი (კონსტრუქციული, დრამატული, ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება, სენსორული) და მოსასვენებელი სივრცე. თითოეულ ცენტრს გააჩნიათ შესაბამისი რესურსი და საბავშვო ზომის ავეჯი. რესურსები განთავსებულია ორგანიზებულად და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. ცენტრებში გადაადგილება ხდება უსაფრთხოდ და

თავისუფლად. გარემოს მოქნილობა შესაძლებელს ხდის მის ადაპტირებას კონკრეტული აქტივობებისა და ბავშვების ინტერესების შესაბამისად. კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობა სრულად იკითხება როგორც გარემოს მოწყობაში, ისე რესურსის განლაგებასა და გამოყენების პრაქტიკაში.

ქედის N1 ბაგა-ბაღის ეზო მოწყობილია იმგვარად, რომ უზრუნველყოს შერჩეული კურიკულუმების განხორციელება. ეზოში განთავსებულია სივრცეები მოძრავი თამაშებისთვის, სასრიალო და საქანელა, გასაძრომი, ბალანსის საქანელა, აგრეთვე სენსორული ცენტრი და ბილიკი, ხელოვნების, დრამატული თამაშების კუთხე და კულინარიული კუთხე. აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება როგორც ადრეული აღზრდის კურიკულუმის, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამის მოთხოვნებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად აუცილებელი აქტივობების გამრავალფეროვნებას გარე სივრცეში.

საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია ისე, რომ ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის როგორც შიდა სივრცეში – ჯგუფურ ოთახში და ცენტრებში, ისე ეზოში. რესურსები განთავსებულია ბავშვებისთვის მარტივად მისადგომ ადგილას, ორგანიზებულია ფუნქციურად და მათი გამოყენება თავისუფლად შესაძლებელია ყოველდღიურ საქმიანობაში. რესურსის ხელმისაწვდომობა და გამოყენება იკითხება საგანმანათლებლო გეგმებში, ცენტრებში განთავსებულ მასალებსა და გარემოს მოწყობაში, რაც უზრუნველყოფს ბავშვების აქტიურ ჩართულობას და კურიკულუმის მიზნების ეფექტიანად მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედის N1 საბავშვო ბაღში ჯგუფური ოთახები მოწყობილია შერჩეული კურიკულუმების მოთხოვნების შესაბამისად. გარემოში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ცენტრები, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს ჩაერთონ როგორც აქტიურ, ასევე პასიურ საქმიანობებში. ცენტრების ფუნქციური განლაგება უზრუნველყოფს ბავშვების ინტერესებზე და აქტივობის ტიპზე მორგებულ თამაშში ჩართულობას.

ცენტრები ორგანიზებულია ისე, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ითამაშონ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მცირე თუ დიდ ჯგუფებში. ჯგუფური ოთახის სივრცეში გამოყოფილია შეხვედრების ზონა, რომელიც ხელს უწყობს მთელი ჯგუფის მონაწილეობით აქტივობების განხორციელებას. ეს განლაგება ქმნის შესაძლებლობას მრავალმხრივი თამაშების ორგანიზების, კერძოდ, როგორც პასიური, ისე აქტიური თამაშების.

ჯგუფში განთავსებულია სპეციალური სივრცე, რომელიც განკუთვნილია ბავშვის ინდივიდუალური დასვენებისა და განმარტოებისათვის. ეს სივრცე აღჭურვილია ისე, რომ ბავშვებს შეეძლოთ დამოუკიდებლად, მშვიდ გარემოში დროის გატარება ემოციური განტვირთვის ან პირადი დროის საჭიროებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი"–ის მიხედვით დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. დაწესებულებას წესის თანახმად დამტკიცებული აქვს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის შემდეგი მეთოდები: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. (მტკიცებულების სახით მხოლოდ ბ) მოკლე კითხვარები არ აქვთ წარმოდგენილი),

დაკვირვებისა და შეფასების ფორმები დამტკიცებულია ამავე ბრძანებით. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები – **ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი I, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში, ნაწილი II, პრაქტიკული სახელმძღვანელო/სცენარები 2–დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა**

კრებული, ნაწილი I (საპილოტე ვერსია); სასკოლო მზაობის პროგრამა, აქტივობათა კრებული, ნაწილი II (საპილოტე ვერსია XI-XXX კვირა); – განსაზღვრავენ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების აუცილებლობას, თუმცა არ ადგენენ კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს. შესაბამისად, მეთოდების შერჩევა და პრაქტიკაში გამოყენება რეგულირდება დაწესებულების შიდა დოკუმენტაციით, რაც კურიკულუმის მიზნებს არ ეწინააღმდეგება.

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“ განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს (ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, კითხვარები და შეფასების ფორმები). აღნიშნული მეთოდოლოგია არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულ ზოგად ჩარჩოს და ემთხვევა ბავშვის ინტერესებზე, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას. დანდალოს საბავშვო ბაღში კი აღნიშნული პრაქტიკაა დანერგილი.

ქედის N1 საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს, ინდივიდუალური პროგრესის შეფასებას განვითარების სფეროების მიხედვით, ბავშვების ცენტრაულ აქტივობებში ჩართულობის დაკვირვებას, კითხვარებსა და სპეციალურად შემუშავებულ ფორმებს. დაკვირვება მიმდინარეობს სისტემურად, მიკერძოების გარეშე, სუბიექტური შეფასებებისა და იარლიყების გარეშე. აღნიშნული პრაქტიკის გაზიარება მოხდა დაწესებულებაში ვიზიტის და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს დროს.

ბავშვის შეფასება ეფუძნება დაკვირვების შედეგების ანალიზს, განვითარების სტანდარტების შესაბამისად. გამოიყენება სისტემური მიდგომა – მონაცემების დაგროვება, აღწერა, შეფასება, პროგრესის დადგენა და შედეგების ინტეგრირება ბავშვის პორტფოლიოში. შეფასება მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეს.

დაკვირვება და შეფასება ხორციელდება პერიოდულად და სისტემურად. პროცესი მოიცავს მონაცემების დაგროვებას, ანალიზს, დოკუმენტირებას და შესაბამისი ცვლილებების გატარებას საგანმანათლებლო პროცესში. ბავშვზე დაკვირვების პროცესში ჩართულია არა მხოლოდ აღმზრდელი/აღმზრდელ–პედაგოგი, არამედ ბავშვისთან მომუშავე სხვა პერსონალი და მშობელი, რაც ზრდის შეფასების ხარისხს და პროცესის გამჭვირვალობას. შეფასების შედეგები აისახება ბავშვის პორტფოლიოში, რაც ადასტურებს პროცესის თანმიმდევრულობასა და სტრუქტურირებულობას. დაწესებულებაში ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, აღმზრდელის, ბავშვთან მომუშავე სხვა

პერსონალის და ოჯახის ჩართულობით. წესში გაწერილია, რომ მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ. შეფასების გუნდის შემადგენლობა კი განისაზღვრება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

„საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი"–ის მიხედვით დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კითხვარები;

გ) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

დაწესებულებამ შეიმუშაოს წესში მითითებული მოკლე კითხვარების ფორმა.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად განიხილავს ბავშვის პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს მის ნამუშევრებსა და დაკვირვების ჩანაწერებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის პროგრესის მონიტორინგს, რაც წარმოადგენს შეფასების სისტემური პროცესის ნაწილს.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაფუძნებით ბავშვის შეფასება ემსახურება:

1. **თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;**
2. **თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;**
3. **თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას.**

ეს მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ შეფასებისა და დაკვირვების წესში (მუხლი 8, პუნქტი 6)

დაწესებულების შეფასების სისტემა მიზნად ისახავს ბავშვის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. დაკვირვება და შეფასება მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს და ეფუძნება განვითარების სტანდარტებზე მიბმულ მონიტორინგს, რაც ვლინდება როგორც დაწესებულების შიდა დოკუმენტებში, ასევე პედაგოგიური პრაქტიკის ინტერვიუში დაფიქსირებულ მიდგომებში.

დაწესებულებას დანერგილი აქვს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სტრუქტურირებული და თანმიმდევრული პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება სამართლებრივად დამტკიცებულ წესს და პრაქტიკაში უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას. შეფასება ეფუძნება მრავალფეროვან მეთოდებს და მოიცავს ყველა ბავშვს, ხოლო შედეგები აისახება ბავშვთა ინდივიდუალურ პორტფოლიოებში.

ქედის N1 საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი შეფასების შედეგებს იყენებენ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის ან უკვე დაგეგმილ პროცესში ცვლილებების შესატანად და ასხავენ გეგმაში. გეგმებში აღმზრდელები ითვალისწინებენ ინდივიდუალიზაციის ასპექტს, რაც მოიცავს ბავშვის კონკრეტული საჭიროების და ინტერესის საფუძველზე ინდივიდუალური თამაშებისა და სტრატეგიების გამოყენებას, ბავშვებისთვის საქმიანობის ადაპტირებას გართულების, გამარტივების ან მოდიფიცირების გზით.

დაწესებულებაში ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო დაკვირვება წარმოადგენს უწყვეტ, პერმანენტულ პროცესს. შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი, ბავშვთან მომუშავე სხვა სპეციალისტებთან (ლოგოპედი, ფსიქოლოგი, მუსიკის მასწავლებელი) და ოჯახის

წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. შეფასება ეფუძნება დოკუმენტურად განსაზღვრულ ინსტრუმენტებს და ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა–ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“–ის მიხედვით ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

დაბა ქედის N1 საბავშვო ბაღში შეფასების შედეგების სისტემური განხილვა და გააზრება ხორციელდება როგორც მოკლევადიანი გეგმების კორექტირებისას, ასევე საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრისას.

შეფასების შედეგების საფუძველზე, აღმზრდელები იაზრებენ თითოეული ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებს და ეს ასახულია საგანმანათლებლო გეგმებში. კონკრეტულად, გამოიყენება ინდივიდუალიზაციის სტრატეგიები, როგორიცაა: ბავშვისთვის საქმიანობის ადაპტირება (გართულება, გამარტივება, მოდიფიცირება), ინდივიდუალური თამაშებისა და მიდგომების შერჩევა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკა მოიცავს ოჯახის ჩართულობას როგორც ინფორმაციის მიმოცვლის, ასევე განვითარების პროცესის ერთობლივი გააზრების გზით.მშობლებისგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების უკეთ გასააზრებლად და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს მშობლების არსებით მონაწილეობას შეფასების პროცესში.

ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N6 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი
2. დანართი N34 - დღის განრიგი
3. ბავშვთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია წარმოადგინა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად.
4. საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი;

დანართი N6 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №01-02/67 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი
დანართი N36 - მასწავლებლის რეფლექსური ჩანაწერები
დანართი N37 - ბავშვზე დაკვირვების ფორმა

5. დანართი N5 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების **2024** წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი
   დანართი N35 - კურიკულუმის შესაბამისი გეგმა
6. დაწესებულებამ წიგნების აღრიცხვის ჟურნალი წარმოადგინა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად.
7. აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო წარმოადგინა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად.
8. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფილიო წარმოადგინა დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტებთან ერთად.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედის N1 ბაგა-ბაღში კურიკულუმის შეფასება რეგულირდება ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“. დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ., თუმცა დაწესებულებას არ ყავს შექმნილი კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფი. დაწესებულება აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, რაც განპირობებულია იმით, რომ კურიკულუმი ახლად დანერგილია და დადგენილი ვადა ჯერ არ დამდგარა. დაწესებულებას უკვე აქვს შემუშავებული, მაგრამ არ აქვს ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტი, რაც ადასტურებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის არსებობას და მზადყოფნას.

კურიკულუმის შეფასება ეფუძნება:

1. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
2. ფიზიკური გარემოს შეფასებას;

3. მშობლების უკუკავშირს;
4. პერსონალის თვითრეფლექსიას.

აღნიშნული ასპექტები ცალსახად გაწერილია დადასტურებულ მარეგულირებელ წესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რაც დადასტურებულია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“, რომლის თანახმადაც კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ.

მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეფასების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია კურიკულუმში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ შეფასებისა და ანალიზის შედეგად დაფიქსირებული საჭიროებები კურიკულუმში ცვლილებების საფუძვლად შეიძლება იქცეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

კურიკულუმის შეფასების განსახორციელებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N5 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების **2024** წლის 28 ოქტომბრის №01-02/52 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი;
2. დანართი N41 - კურიკულუმის შეფასების ინსტრუმენტი

შეფასება:
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბრის №01-02/39 ბრძანებით. დოკუმენტი დეტალურად აღწერს საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების წესს და მოიცავს შიდა და გარე აუდიტორიებთან კომუნიკაციის, საკომუნიკაციო არხების, აქტივობების დროში განაწილების, პასუხისმგებელი პირების, უკუკავშირის და კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის საკითხებს. დოკუმენტს თან ერთვის საკომუნიკაციო გეგმის შაბლონი. დაწესებულებას არ ყავს ბრძანებით შექმნილი საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი ითვალისწინებს საკომუნიკაციო აქტივობების წინასწარ დაგეგმვას სასწავლო წლის დასაწყისში. შესაბამისად, დანდალოს ბაგა-ბაღში საკომუნიკაციო გეგმის ფარგლებში იანვრიდან ივლისის პერიოდში დაგეგმილია მიზნობრივი საკომუნიკაციო ღონისძიებები, რაც ადასტურებს გეგმიური მუშაობის პრინციპის დანერგვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

საკომუნიკაციო გეგმის შემუშავებისას დაწესებულებამ გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შექმნას საკომუნიკაციო გეგმის/გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი.

„საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის“ მუხლი 4-ის მე-2 ქვეპუნქტში წარმოდგენილია საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალი, რომელთაგან ნაწილი რეალურ პრაქტიკას არ შეესაბამება. სასურველია დაწესებულებამ დატოვოს მხოლოდ ის პუნქტები, რომლსაც პრაქტიკაში ახორციელებს.

დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის ინდივიდუალური საკომუნიკაციო გეგმა

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ერთ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას გააჩნია საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლების ინფორმირებას კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ, როგორც ბაღის შიდა ღონისძიებებში (მაგალითად, ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა, სააღმზრდელო პროცესში მხარდაჭერა), ისე გარე ღონისძიებებში, რაც მოიცავს თემთან კავშირების გაღრმავებასა და გარე საგანმანათლებლო სივრცეების გამოყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება კომუნიკაციისთვის იყენებს საკომუნიკაციო გეგმით განსაზღვრულ მრავალფეროვან მეთოდებსა და არხებს, რაც უზრუნველყოფს როგორც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, ისე თემთან ეფექტიან და უწყვეტ კომუნიკაციას. კერძოდ, საკომუნიკაციო არხებად გამოყენებულია:

ა) პირისპირ შეხვედრები;

დ) საინფორმაციო დაფები;

ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები;

ვ) სატელეფონო ზარები;

ზ) ელექტრონული ფოსტა;

თ) დაწესებულების ვებ-გვერდი;

კ) სოციალური მედიის პლატფორმა;

ლ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

აღნიშნული არხების გამოყენება განსაზღვრულია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N01-02/40 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმით.
საკომუნიკაციო გეგმა ასევე განსაზღვრავს მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და პროგნოზირებადობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N7 - (ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბერი N01-02/39 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი;
2 დანართი N7 - დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა;
3. დაწესებულების ვებ-გვერდი https://kedakids.ge/;

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედის N1 საბავშვო ბაღი სისტემატურად ახორციელებს ოჯახისა და თემის ცნობიერების ამაღლებას მრავალფეროვანი აქტივობების მეშვეობით, რაც დადასტურებულია ვიზუალური მტკიცებულებებით (ფოტომასალა) და პერსონალის ინტერვიუებით. ბავშვის უფლებების, ასევე ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ ცნობიერების ამაღლება მიმდინარეობს საინფორმაციო შეხვედრების და საგანამანათლებლო აქტივობების დახმარებით.

აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს ბავშვების შეფასებას და ფლობს შესაბამის შეფასების შედეგებს, რომლებიც ინახება თითოეული ბავშვის პორტფოლიოში.

მშობლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება ინდივიდუალური შეხვედრებითა და მათთვის პორტფოლიოს გაზიარებით, სადაც მოცემულია დაკვირვების ჩანაწერები, ნამუშევრები და განვითარების შეფასებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. მათ შორის სკოლას, ბიბლიოთეკას, პარკს, სახანძროსა და ამბულატორიას. საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ ექსკურსიებსა და შეხვედრებს, ასევე იწვევს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს.

აღნიშნული ვლინდება დაგეგმვის პროცესში კერძოდ გრძელვადიან გეგმაში: ბავშვების გაყვანა თემში არსებულ დაწესებულებებში, ბუნებაში, პარკში და სხვა. რაც ასახავს თემის რესურსების გამოყენების პრაქტიკას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, რაც ვლინდება სოციალური ქსელის, დახურული ჯგუფების, შეხვედრებისა და კითხვარების გამოყენებით უკუკავშირის მიღებით.

ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ შეფასების შედეგად გამოვლენილი არ არის გარკვეული საჭიროებები.

საჭიროების შემთხვევაში კი დაწესებულება მზადაა განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები.

საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის **მუხლი 6. განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა–** ვეცნობით, რომ კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, გაერთიანება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;

ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N7 – ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბერი N01-02/40 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმა;
2. დანართი N7 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 25 სექტემბერი N01-02/39 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი;
3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები. დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი საშტატო ნუსხა დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის ჭრილში, სადაც მითითებული იქნება პერსონალის რაოდენობა დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების აღნიშვნით. ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი და შინაგანაწესი არ მოიცავს უფლებამოვალეობების გადანაწილების, შეთავსების საკითხებს. გარდა ამისა, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 5 დეკემბრის №01-02/72 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

განსზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებაში ბავშვთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია დანართი N1 ცხრილის საფუძველზე, რომელიც დაწესებულების მხრიდან შევსებული არ არის და არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აღმზრდელ-პედაგოგის/ აღმზრდელის თუ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის შესახებ.

ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მოკლებული ვარ შესაძლებლობას შევაფასო თუ რამდენად შეიძლება ითვალისწინებდეს პერსონალის კომპეტენცია ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

უზრუნველყოს დაწესებულებამ დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხის შემუშავება დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების მითითებით, რაოდენობრივად, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების შინაგანაწესში/პერონალის მართვის დოკუმენტში გაწეროს უფლებამოვალეობების გადანაწილების, შეთავსების საკითხები და უზრუნველყოს აღნიშნულ დოკუმენტებში ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასახვა და ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად შესაბამისი პერსონალის უზრუნველყოფა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს ხუთ თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობა-დანართი N43 სახით. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ქვეშ დასაქმებულთა ძირითადი მოვალეობები, რომელიც მკაფიოდ არის გამიჯნული, სამუშაოს ტიპი, ანგარიშვალდებულება, ადგილმდებარეობა, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები და სხვა. თუმცა აღნიშნული აღწერილობა არ არის წარმოდგენილი დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის ჭრილში, შესაბამისად შეუძლებელია იდენტიფიცირება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების შესახებ დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღში.

რეკომენდაცია

სტატუსის მაძიებელმა უზრუნველყოს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვა დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის ჭრილში, დასაქმებულთა პოზიციების შესაბამისად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის N01-02/5 ბრძანებით „პერსონალის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შესახებ“. წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N21 დადგენილება ა(ა)იპ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N20 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“. დადგენილი კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლოთ დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულებას არ ჰყავს აღმზრდელ-პედაგოგები. ადგილზე ინტერვიუს და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესებამება დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე პერსონალს (აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი) აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება 2024 წლის 29 ნოემბერს ა(ა)ი.პ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან“ გაფორმებული სატრენინგო მომსახურების ხელშეკრულებით (#01-21/55) - პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია გადამზადებული პერსონალის დეტალური მონაცემები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შესაბამის პერსონალის პირად საქმეში ინახებოდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი და ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 31.12.2024 წლის №01-02/83 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და

არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება „ საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად, მოიცავს 15 მუხლს, რომელიც აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს: დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა,დავის სამართლებრივი გადაწყვეტა და სხვა. ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს, გაფორმებულ ხელშეკრულებას და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. გამომდინარე იქედან, რომ პერსონალის მარეგულირებელი წესი შემუშავებულია მიმდინარე წლის 17 მარტს, კონკრეტული მტკიცებულებები პროცესის შესახებ შექმნილი არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს მენეჯერთან და გაერთიანების ხელმძღვანელებთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ ჰყავს დასაქმებული აღმზრდელ-პედაგობები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს აღმზრდელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტი, სადაც მუხლი 3-ში „დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები)“- 3.2.20 -პუნქტში

განსაზღვრულია არასაკონტაქტო დრო და აღნიშნულია, რომ ის გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად. ასევე, ადგილზე ვიზიტის დროს და პირადი საქმეების შესწავლის დროს, შესაბამის პერსონალთან გამოყენებული იყო ის ხელშეკრულების ვერსია, რაც დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულების სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, რომ დაწესებულებამ შესაბამის პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში უფრო მკაფიოდ მიუთითოს არასაკონტაქტო საათებში განსახორციელებელი საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმვის ნაწილის გარდა, ასევე მოიცავს სხვა საკითხებსაც (რეფლექსია მომზადება/გაზიარება, პროფესიული განვითარება და სხვ), რაც ხელს შეუწყობს პროცესის უფრო ეფექტურ დაგეგმარებასა და განხორციელებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები რეგულირდება (ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. აღნიშნული წესის თავი III „ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი''- არეგულირებს პერსონალის შერჩევასთან, დანიშვნასთან და პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აღნიშნულ წესში განსაზღვრულია, რომ გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით, პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, გაერთიანება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ საკვალიფიციო მოთხოვნებს, რისთვისაც კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. ამავა წესის მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა - აღნიშნულია, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას, თუმცა არ არის განსაზღვრული კონკრეტული პროცედურა/პროცესი, რომლის საშუალებითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ობიექტურობას და გამჭირვალობას კადრების შერჩევის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს კონკრეტული და მკაფიო კონკრეტული პროცედურა/პროცესის შემუშავება კადრების შერჩევის პროცესში, რომელიც განხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს არეგულირებს (ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. ამავე წესის, **თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესის** მე-12 მუხლში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილია შემდეგი:

იმისათვის, რომ გაერთიანების მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, გაერთიანება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

ა) ახალი თანამშრომლისთვის გაერთიანების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;

ვ) მენტორინგის სისტემის არსებობა - გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც იკვეთება დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. დაწესებულებას გაცხადებული აქვს, რომ გუნდურობა არის მისი ერთ-ერთი ღირებულება, ხოლო ხედვაში გამოტანილი აქვს როგორც ბავშვების, ასევე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რომელიც ასევე მოიაზრებს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და განვითარებას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც მრავალფეროვან ეტაპებსა თუ აქტივობებს მოიცავს. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ ავლენდენ გულისხმიერ და კოლეგიალურ დამოკიდებულებას, ცდილობდნენ საკუთარი პრაქტიკის გაზიარების დროს, ხაზი გაესვათ თავიანთი კოლეგების შრომისმოყვარეობასა და გუნდური მუშაობის პრინციპზე. დაწესებულებაში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც ასევე ვლინდება სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებაში, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განვითარების მიზნით, პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევის საკითხები რეგულირდება (ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სადაც **თავი IV „შესრულებული სამუშაოს მართვა"** მე-13 მუხლში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის საკითხები. აღნიშნული წესის თანახმად: გაერთიანება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

გაერთიანების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და გაერთიანების დირექტორი. შეფასებას ექვემდებარება გაერთიანების ყველა თანამშრომელი, გარდა, თანამშრომელი რომელიც მუშაობს 6 თვეზე ნაკლებს, ასევე შეფასებას არ ექვემდებარება ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული თანამშრომელი და გარე სერვისები.

გაერთიანების შეფასების სისტემა ითვალისწინებს თანამშრომელთა დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასებას, რომელიც ასევე მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ და სხვ.

ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები:

ა) დაგეგმვა;

ბ) საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

ამავე წესში განსაზღვრულია, რომ დაწესებულება საჭიროების მოკვლევას ახორციელებს შემდეგი გზებით: კითხვარი, თვითშეფასება და სხვ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის ინსტრუმენტი და პროცედურა, რომელიც ხელს შეუწყობს კადრების მართვის პოლიტიკის უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, **მუხლი 14. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**-არეგულირებს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სადაც აღნიშნულია, რომ პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას გაერთიანება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

გაერთიანება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

ა) ტრენინგი;

ბ) ქოუჩინგი;

გ) მენტორინგი;

დ) პროექტები;

ე) სამუშაოს გამრავალფეროვნება;

ვ) თვითგანვითარება;

ზ) კონსტრუქციული უკუკავშირი;

თ) სხვა.

გაერთიანების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში/პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გაერთიანების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული წესი მიღებულია 2025 წლის 17 მარტს, ამ ეტაპზე პროცესის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულები შექმნილი არ არის, ხოლო სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებული იქნა გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის №01-02/69 ბრძანებით, ინტეგრირებულია პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრენინგ-კურსების

ორგანიზება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია აღნიშნული წესს დააფუძნოს პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის წესი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც გამოიხატება:

ა) ინიციატივის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფით;

ბ) ინიციატივის განხორცილებისათვის სამუშაო ჯგუფის და გარემოს ორგანიზება;

გ) სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნიკაცია;

დაწესებულებაში ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის მართვის წესისა და მექანიზმის შესაბამისად განახორციელოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელება. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანრთი N9 - ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტის N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესი;
2. დანართი N8 - დაწესებულების ორგანოგრამა;
3. დანართი N43 - სამუშაო აღწერილობა;
4. დანართი N44 - დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება ;

5. დანართი N45 - პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება;

6. დანართი N46 - პერსონალის პირადი საქმის ჩამონათვალი
7. დანართი N47 - ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის N01-02/5 ბრძანებით დამტკიცებული

პერსონალის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის წესი;

8. დანართი N48 - საგანმანათლებლო პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგების მასალები
9. დანართი N10 - შინაგანაწესი
10. დანართი N49 - შრომითი ხელშეკრულებები;

11. დანართი N46 - თამანშრომელთა პირადი საქმის ნუსხა;
12. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუ

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 3 აპრილი N 01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 3 აპრილი N 01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული „პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფა“ - დოკუმენტით, რომელიც მოიცავს პროცესების აღმწერებს, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაერთიანებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. გამომდინარე იქედან, რომ დოკუმენტი მიმდინარე წლის 3 აპრილს არის დამტკიცებული, ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს შექმნილი ამ წესის შესაბამისად კონკრეტული მტკიცებულებები. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ავლენდა საკითხის სიღრმისეულ ცოდნას და მზაობას წესის შესაბამისად პროცესის განხორციელებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 5 დეკემბერის N01-02/73 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს ჩარიცხვა-ამორიცხვის ფორმას, ჩარიცხვა ამორიცხვის პერიოდულობას/ვადებს, ჩარიცხვა-ამორიცხვის წინაპირობას, ჯგუფის დაკომპლექტებას, რეგისტრაციის შეჩერებას, ჯგუფის შემქნას და სხვა. გაერთიანება ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს შერეული სისტემით - პროცესის ნაწილის ადმინისტრირება ხორციელდება ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის kedakids.ge-ს საშუალებით, ხოლო ნაწილის - მატერიალური ფორმით. კერძოდ: გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში (ბაგა-ბაღი) მსურველი ბავშვის რეგისტრაცია ხორციელდება ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის kedakids.ge-ს საშუალებით, ხოლო ჩარიცხვა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჭირო დოკუმენტების დაწესებულებაში მატერიალური ფორმით წარმოდგენით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 5 დეკემბერის N01-02/73 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც ასევე არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სახელზე;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;

ვ) ბავშვის 2 ფოტოსურათი 3x4;

ზ)ცნობა ოჯახის სოციალურად დაუცველთა სტატუსის შესახებ

თ)მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში მხარდამჭერის პირადობისა და შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

ი)სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;

მ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;

ნ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);

ო) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

პ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ

სტატუსის მაძიებელს ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტი N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს ასევე პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესსაც. წესის თანახმად, პირადი საქმე მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

- განცხადება - სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;
- რეზიუმე;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები:

  ა) ცნობა ნარკოლოგიურიდან

  ბ)ცნობა ნასამართლეობის - „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“
- შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;
- კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ
- შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეების ადგილზე შესწავლით გამოიკვეთა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული წესის შესაბამისად პირადი საქმეების წარმოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N50 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 3 აპრილი N 01-02/15 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
2. დანართი N11 - ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 5 დეკემბერის N01-02/73 ბრძანებით დამტკიცებული ბავშვის ჩარიცხვა ამორიცხვის მარეგულირებელი წესი;
3. დანართი N9 - ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 17 მარტი N01-02/7 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი;
4. დანართი N46 - პერსონალის პირადი საქმე (შაბლონი)
5. დანართი N51 - ბავშვის პირადი საქმე (შაბლონი)
6. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამებ.ა ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, რისთვისაც შემუშავებული აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 3 აპრილს N01-02/17 უფლებამოსილი პირის ბრძანებით. აღნიშნული წესი არეგულირებს ა(ა)ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებში (ბაღებში) პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმსა და პროცედურებს. შემუშავებული წესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ბაგა-ბაღში დასაქმებული მედდა. საბავშვო ბაღში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის სამედიცინო კაბინეტი მედდისთვის, რომელიც მოწყობილია კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რისთვისაც წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა 12 თვეზე. აღნიშნული გეგმა რელევანტურია შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.

რეკომენდაცია

უზრუნველყოს დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N01-02/11 ბრძანება ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში მწვანე საფარის აღწერის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის საფუძველზე აღწერილია დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის მწვანე საფარი და წარმოდგენილია შესაბამისი აღრიცხვის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას მცენარეების, მისი მახასიათებლებისა და უსაფრთხოების შესახებ (დანართი N61). აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვის ფორმა, ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყნების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანის უსაფრთხოების წესები/პროცედურა და ამასთანავე დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის ყოველი გაყვანისას უზრუნველყოს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დეტალური ინფორმირება

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც ადგილზე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, აღმზრდელები სისტემატიურად ზრუნავენ, რომ ბავშვისთვის დღის განრიგი პროგნოზირებადი იყოს, რასაც სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით აკეთებენ. დაწესებულების მიერ გამოგზავნილ თვითშეფასების ფორმაში არ არის წარმოდგენილი ვიზუალური დღის განრიგი, თუმცა ვიზიტის დროს შენობის და ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებისას, ყველა ჯგუფში გამოკრული იყო ვიზუალური დღის განრიგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით სხვადასხვა ტრენინგ კურსების ორგანიზების შესახებ, რომელთა ნაწილიც მოიცავს ბავშვთა უფლებების საკითხების დაფარვას. კერძოდ: 2025 წლის 31 იანვრის N01-21/10 ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდა ი/მ „თეკლე კაპანაძე“ -სთან მოიცავს ტრენინგების ჩატარებს ბავშვთა უფლებების, ბავშვთა უფლებების კოდექსის და კონვენციის შესახებ. ასევე, წარმოდგენილია სახელობითი სია, ვინც გაიარა აღნიშნული ტრენინგ კურსი, რომელიც ფარავს დაბა ქედის N1 ბაგა-ბაღის პერსონალსაც.

დაწესებულების პერსონალი იცავს საქმიანობის პროცესის წარმართვისას ბავშვის უფლებებს, რისთვისაც შემუშავებული აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი და ყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული, რომელსაც აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგ-კურსი (სწავლება). ადგილზე ვიზიტისას და პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ თითოეული მათგანი იცავს ბავშვის უფლებებს და მაქსიმალურად ითვალისწინებს თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ბავშვის საჭიროებებსა და ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის, რის მტკიცებულებადაც წარმოდგენილია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბერის N01-02/76 ბრძანებით დაამტკიცებული „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი და სხვა. ამ წესის თანახმად, ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბრის N01-02/76 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს გავლილი ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ შესაბამისი ტრენინგ-კურსი (ცნობიერების და ცოდნის ამაღლება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესახებ), რაც დასტურდება 2025 წლის 31 იანვრის N01-21/10 ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა ი/მ „თეკლე კაპანაძე“ -სთან სატრენინგო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბაღში ბავშვის გარემოსთან ადაპტაცია და ტრანზიცია ხორციელდება სისტემურად: ბავშვებზე დაკვირვება და მათი საჭიროებების ანალიზი ასახულია როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფზე დაკვირვების ჩანაწერებში, რაც შემდგომ აისახება მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის გრაფაში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ გეგმაში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ინდივიდუალური მიზნების დასახვასა და მისადაგებულ აქტივობებზე ფოკუსირებას.

დაწესებულება ასევე იყენებს ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს დაკვირვებებს, შეფასებებს, ნამუშევრებსა და ფოტო მასალას, რაც ადაპტაციის პროცესის გასაანალიზებლად ღირებული მასალაა. ასევე წარმოდგენილია დღის განრიგი, რაც ადასტურებს სტრუქტურირებული და წინასწარ დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესის არსებობას.

დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს ბავშვის ბაღთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. ეს მოიცავს: პოზიტიური განწყობის შექმნა საბავშვო ბაღის მიმართ: საუბარი, წიგნების კითხვა და სხვა, იმიტირებული დრამატული თამაშები ბაღის გარემოს შესაქმნელად, ბავშვთან წინასწარი საუბარი ბაღში მოახლოებულ ცვლილებებზე.

ვიზიტისას წარმოდგენილი დოკუმენტაცია – მათ შორის, აღმზრდელისა და ბავშვის პორტფოლიოები – ასახავს იმ პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც პერსონალი ეხმარება ბავშვს ჯგუფსა და გარემოში წარმატებით ინტეგრირებაში. აღნიშნული დოკუმენტაცია მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ აქტივობებს შიდა და გარე სივრცეში, ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებსა და მრავალფეროვან გამოცდილებას, რაც გარემოსთან ეტაპობრივი შეგუებისა და ტრანზიციის პროცესს მხარს უჭერს. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვი სკოლაში გადასვლისთვის მზაობის შეფასებას, ბავშვის ინტერესი სკოლის მიმართ, სკოლის გაცნობის შესაძლებლობა, მშობლის შეფასება ბავშვის ემოციური მზაობის შესახებ და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს აქვს მშობლის წერილობითი ნებართვა ფოტო/ვიდეო ჩანაწერზე, სოც.ქსელში განთავსებაზე და სხვა, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენით. სტატუსის მაძიებელი იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებულ სხვადასხვა მარეგულირებელ წესში. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესში, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 16 დეკემბრის №01-02/76 ბრძანებით, მე-6 მუხლი არეგულირებს ბავშვის ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და რეფერირებასთან დაკავშირებულ პროცედურულ წესებს. ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში დასაქმებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია გაერთიანების დაქვემდებარებაში მყოფი ბაგა-ბაღების პერსონალისა და ბავშვების პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების გამჟღავნების განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N18 - ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბერის N01-02/76 ბრძანებით დაამტკიცებული ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი;
2. დანართი N59 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა.
3. დანართი N62 - რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 13 იანვრის N01-02/2 ბრძანება.
4. დანართი N64 - მშობლის თანხმობა ბავშვის დაწესებულების ტერიტორიიდან გაყვანის, ფოტო-ვიდეო გადაღების და მისი გამოქვეყვების შესახებ.
5. დანართი N60 2025 წლის 3 აპრილს N01-02/17 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი;
6. დანართი N61-ქედის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 18 მარტის N01-02/11 ბრძანება ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში მწვანე საფარის აღწერის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ:
7. დანართი N61 - მცენარეთა აღრიცხვის დოკუმენტი;
8. ინტერვიუს შედეგები, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი არ არის დამტკიცებული ბიუჯეტი. N65 დანართის სახით წარმოდგენილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (№12, 2024 წლის 27 დეკემბერი) ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ბრძანებაში არ არის ინფორმაცია ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების ბიუჯეტის შესახებ, ხოლო N65 დანართის სახით წარმოდგენილია ა.(ა).ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2025 წლის ბიუჯეტის განაცხადი (პროექტი). ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა იგივე დოკუმენტაცია, რაც განაცხადისას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის განსაზღვრა თუ რამდენად უზრუნველყოფს ფინანსური რესურსი სამოქმედო გეგმის განხორციელებას ბუნდოვანია, რადგან არ არის წარმოდგენილი საბოლოო სახით დამტკიცებული ბიუჯეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბიუჯეტის დამტკიცება შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანებით, რომელითაც შესაძლებელი იქნება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობათა განხორციელება.

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამოებების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორისის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით.

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

